# ქალაქ თბილისის
# მუნიციპალიტეტის საკრებულო

## განკარგულება № 489

22 სექტემბერი 2023 წ

ქ. თბილისი

**,,ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში ასასვლელ გზასა და ფარნავაზის ქუჩის გადაკვეთასთან; ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, ჰიპერმარკეტ ,,გუდვილი''-ს მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი №1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.10.06.011.083; №01.10.06.011.063) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №285 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტისა და ,,ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში ასასვლელ გზასა და ფარნავაზის ქუჩის გადაკვეთასთან; ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, ჰიპერმარკეტ ,,გუდვილი''-ს მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი №1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.10.06.011.083; №01.10.06.011.063) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის №283 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე**

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტის, 61–ე მუხლის მე–2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,თ'' ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების", ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2023 წლის 20 სექტემბრის №23.1400.1542 განკარგულების შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში ასასვლელ გზასა და ფარნავაზის ქუჩის გადაკვეთასთან; ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, ჰიპერმარკეტ ,,გუდვილი''-ს მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი №1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.10.06.011.083; №01.10.06.011.063) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის №285 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი

დავალების პროექტი და „ქალაქ თბილისში, დიდ დიღომში ასასვლელ გზასა და ფარნავაზის ქუჩის გადაკვეთასთან; ქალაქ თბილისში, დიდი დიღმის დასახლებაში, ჰიპერმარკეტ „გუდვილი"-ს მიმდებარედ; ქალაქ თბილისში, ფარნავაზ მეფის გამზირი №1ა-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: №01.10.06.011.083; №01.10.06.011.063) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე"
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 2 ივლისის №283 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე